

პაატა პაპავა, ლელა ქისტაური

ჩოგონი გამოვიცნოთ აშინები?



კლასი V

ტექსტის ტიპი – საინფორმაციო-შემეცნებითი

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



შესავალი

შენ მუდმივად რაღაცას აკეთებ: თამაშობ, სეირნობ, მგზავრობ, სკოლაში დადიხარ... ზოგჯერ წინასწარ გეგმავ, მეორე დღეს რითი დაკავდები: ითამაშებ, ისეირნებ, იმგზავრებ, სკოლაში წახვალ... რაიმეს უკეთ დასაგეგმად მოსალოდნელი ამინდის პროგნოზის ცოდნა და გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია.

დღეს უამრავი მეცნიერული მეთოდი¹ არსებობს ამინდის წინასწარ გამოსაცნობად. თუმცა, თუ ბუნების მოვლენებს ყურადღებით დააკვირდები, ამინდის პროგნოზირებას² დამოუკიდებლადაც შეძლებ. ვინ იცის, იქნებ ზუსტადაც კი იწინასწარმეტყველო? ყურადღებით გაეცანი წიგნში აღწერილ ნიშნებს, რომლებიც ამინდის გამოცნობაში გვეხმარება. შეეცადე, ისინი გარემოში აღმოაჩინო. დააკვირდი ცას, მცენარეებს, ცხოველების ქცევას. ეს ყველაფერი საშუალებას მოგცემს, წინასწარ ივარაუდო მოსალოდნელი ამინდი. გაიგე, როგორი სინოპტიკოსი³ ხარ!

მეთოდი - მოვლენის კვლევის ხერხი.

პროგნოზი – [ბერძნული სიტყვიდან prognosis] – რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება მეცნიერული მონაცემების საფუძველზე.

სინოპტიკოსი – ადამიანი, ვინც მოსალოდნელ ამინდს წინასწარმეტყველებს მეცნიერული მონაცემების საფუძველზე.

რა ინვეს ამინდის ცვალებადობას?

ამინდს ძირითადად სამი რამ განაპირობებს: ატმოსფერული ტემპერატურა, ტენიანობა და წნევა. ეს სამი ფაქტორი წარმოქმნის ქარს, ღრუბლებსა და ნალექს. ესე იგი, ტემპერატურის, ტენიანობისა და წნევის ცვალებადობა და ურთიერთქმედება განსაზღვრავს, როგორი იქნება ამინდი.

ჩვენს პლანეტას გარს აკრავს ჰაერის სქელი ფენა – **ატმოსფერო**. სწორედ იქაა თავმოყრილი დედამიწიდან აორთქლებული წყალი. ატმოსფეროს ქვედა ფენაში ჩნდება ღრუბლები. იქიდან მოდის წვიმა და თოვლი. იქვე წარმოიქმნება ჭექა-ქუხილი.

როგორც იცი, დედამიწა საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნავს საათის ისრის მიმართულებით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მასთან ერთად ტრიალებს ატმოსფეროც. ამინდის განმაპირობებელი ფაქტორებიც (ტემპერატურა, ტენიანობა და წნევა) ჩვეულებრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლებს. თუმცა, შესაძლოა, რომ კონკრეტულ ადგილებში ამინდზე სხვა, ადგილობრივმა, პირობებმაც იმოქმედოს.



ამინდის გამოცნობა გარემოზე დაკვირვებით

ამინდის გამოცნობის საუკეთესო საშუალება გარე სამყაროზე დაკვირვებაა. შენ გარშემო არსებული ცოცხალი და არაცოცხალი გარემო შეიძლება უამრავ ინფორმაციას შეიცავდეს მოსალოდნელ ამინდზე. მთავარია ამ ინფორმაციის „ამოკითხვა“ შეგეძლოს.

დააკვირდი ღრუბლებს

ღრუბლებს ბევრი რამის თქმა შეუძლიათ მოსალოდნელი ამინდის შესახებ. დააკვირდი ღრუბლების ტიპს და იმას, თუ საით მოძრაობენ ისინი. ზოგადად, თუ ღრუბლები მაღლაა და თეთრია, ეს კარგ ამინდს მოასწავებს. თუ ღრუბლები დაბლაა და მუქია, მოსალოდნელია წვიმა ან ქარიშხალი.

თუ დღის პირველ ნახევარში ცაში მუქი ნაცრისფერი ღრუბლები ჩანს და დღის განმავლობაში კიდევ უფრო მეტი მოგროვდება, ეს ნიშნავს, რომ მალე ავდარია მოსალოდნელი.

ზოგჯერ ღრუბლები მაღლა ცაში გრძელი ლენტებივითაა გაჭიმული. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ 36 საათის განმავლობაში გაავდრდება.

ზოგჯერ ცაში ერთდროულად გროვდება თხელი და სქელი ღრუბლები. როცა ასეთი რამ ხდება, მომდევნო დღე აუცილებლად წვიმიანი იქნება.

თუ ღრუბლები მონაცრისფრო თხელი ფენებისაგან შედგება, ამ დროს ნალექი წვიმის წვრილ წვეთებად მოდის, ცრის.



ზოგჯერ ღრუბლები თხელი და გაწელილია. ასეთი ღრუბლები ყინულის კრისტალებისაგან შედგება. ისინი ცაში ძალიან მაღლა დაცურავენ. მათი გამოჩენა ქარიანი ამინდის მაუწყებელია.

თუ ზამთარში ცა ღრუბლებით იფარება, უფრო თბილი ამინდია მოსალოდნელი. ამ დროს ღრუბლები ერთგვარი საბნის როლს ასრულებენ და დედამიწიდან სითბოს გაფანტვას უშლიან ხელს.

დააკვირდი ცის შეფერილობას

კარგად დააკვირდი ცას მზის ამოსვლის და ჩასვლის დროს. ის შეიძლება სხვადასხვა ფერის იყოს. ცის შეფერილობის მიხედვით ამინდის პროგნოზირება შეგიძლია.

ზოგადად, თუ ცა შებინდებისას მთლიანად წითელია, მეორე დღეს კარგ ამინდს ელიან.

ზოგჯერ მზის ჩასვლისას ცა დასავლეთით წითლდება, რაც ატმოსფეროში მტვრის ნაწილაკების გაბნევითაა გამოწვეული. გაბნევას, თავის მხრივ, ხელს უწყობს მაღალი წნევა და მშრალი ჰაერი. შესაბამისად, ამ დროს მშრალი ჰაერი დასავლეთიდან შენკენ მოიწვეს და მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ხოლო აისის დროს ცის აღმოსავლეთ ნაწილში წითელი ფერი ნიშნავს, რომ მშრალი ჰაერი უკვე გაცცდა. ამას

მოჰყვება დაბალი წნევა, რომელსაც აუცილებლად წვიმა მოსდევს.

არსებობს ასეთი გამოთქმა: „დაისის დროს წითელი ცა მეზღვაურის სიხარულია, წითელი ცა აისის დროს – მეზღვაურის საფრთხე“.





დააკვირდი მთვარეს და ვარსკვლავებს

მთვარეზე დაკვირვებით შეიძლება გამოიცნო როგორც მოახლოებული, ისე გრძელვადიანი ამინდი. საამისოდ მთვარის შეფერილობას და ნათების ინტენსივობას (სიკაშკაშეს) უნდა დააკვირდე.

ახალმთვარეობისას ზოგჯერ მთვარის რკალი თეთრად კაშკაშებს და გადახრილია („გულაღმა წევს“). ეს ნიშნავს, რომ ორი კვირის განმავლობაში კარგი ამინდია მოსალოდნელი. თუ რკალი მოყვითალო ფერისაა და თითქმის ვერტიკალურადაა ცაზე („დგას“), ნალექი იქნება.

ნათელი რგოლი მთვარის გარშემო თბილი ჰაერის მასების მოახლოებასა და ტენიანობას მოასწავებს. სავარაუდოდ, მომდევნო სამი დღის განმავლობაში წვიმა იქნება. არსებობს გამოთქმა: „რგოლი მთვარის გარშემო – მალე წვიმა ან თოვლი“.

ამინდის გამოცნობა ვარსკვლავებზე დაკვირვებითაც შეიძლება. ვარსკვლავიანი ცა რომ დარის მომასწავებელია, ყველამ კარგად იცის. გარდა ამისა, ცნობილია: თუ ღამით მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები (თითქმის ყველა) ძლიერად ციმციმებს, ქარი იქნება.

ამინდის ვარაუდი ქარისა და ჰაერის მიხედვით

ქარი არის ჰაერის მოძრაობა. ქარი წარმოიქმნება ატმოსფეროში წნევის არათანაბარი განაწილების გამო. მას აქვს მიმართულება და სიჩქარე. მიმართულებას განსაზღვრავენ იმ მხარის მიხედვით, საიდანაც იგი ქრის (მაგ. აღმოსავლეთის ქარი ქრის აღმოსავლეთიდან, დასავლეთის ქარი – დასავლეთიდან). მასზე დაკვირვებით შეიძლება მოსალოდნელი ამინდი გამოიცნო.

შეამოწმე ქარის მიმართულება. ერთი გავრცელებული ხერხია თითის დასველება და მაღლა აწევა. თუ ასე ჰაერის მოძრაობას კარგად ვერ შეიგრძნობ, შეგიძლია ბალახი ან ფოთლები, ბუმბული ან ნებისმიერი მსუბუქი საგანი ვერტიკალურად აისროლო. შეხედე, საით გაფრინდება და სად დაეცემა. ამის მიხედვით ადვილად მიხვდები ქარის მიმართულებას.

აღმოსავლეთის ქარი, როგორც წესი, ავდრის მოახლოებას გვამცნობს. დასავლეთის ქარი, პირიქით, დარის ნიშანია.




დააკვირდი ადამიანებს

ამინდის გამოცნობის ერთ-ერთი საინტერესო ხერხი ადამიანებზე დაკვირვებაა. მათი ნაწილის განწყობა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირაა დამოკიდებული ატმოსფერულ ცვლილებებზე. ამ მოვლენას **მეტეოპათია** ეწოდება. ცნობილია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 35%-ს აღენიშნება მეტეოპათია.

მაგალითად, ჰაერის ტენიანობის გაზრდას ძნელად იტანენ სახსრების დაავადების მქონე ადამიანები. არის შემთხვევები, როცა თითების, იდაყვების, მუხლების სახსრები რამდენიმე დღით ადრე „გრძნობენ“ ნალექის მოახლოებას. ისინი ტკივილითა და მოძრაობის შეზღუდვით „ეხმაურებიან“ ამ მოვლენას. მაგნიტური ქარიშხლების დროს კი ბევრ ადამიანს თავის ტკივილები აწუხებს.

დღემდე ვერავინ გაარკვია დაზუსტებით, როგორ მოქმედებს ადამიანებზე ამინდი. მაგრამ ერთი რამ ცხადია: რაც უფრო მეტი პრობლემა აქვს ადამიანს ჯანმრთელობის მხრივ, მით უფრო ადრე იწყებს ამინდის „პროგნოზირებას“ მისი სხეული. ასე რომ, თუ საკუთარ თავზე დაკვირვებით ამინდს ვერ იწინასწარმეტყველებ, არ იდარდო. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად ჯანმრთელი ხარ!



მეტეოპათია [ბერძნ. meteor – ციური მოვლენა, pathos – ავადმყოფობა, ტანჯვა] – ადამიანის ორგანიზმის საერთო მდგომარეობის მწვავე დამოკიდებულება კლიმატურ მოვლენებზე (ტემპერატურის, ატმოსფერული წნევის, ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობის და სხვა ცვლილებებზე).

დააკვირდით ბალახს აისის დროს

თუ ბალახი მშრალია, ეს ღრუბლიანობის ან ძლიერი ქარის ნიშანია. ასეთ დროს წვიმაა მოსალოდნელი. თუ



ბალახი ცვრიანია, ამ დღეს წვიმას არ უნდა ელოდე. ხოლო თუ გვიან შემოდგომაზე ღამით თრთვილი იყო, დილით არ მოთოვს. გაითვალისწინე, რომ თუ ღამით წვიმდა, ეს დაკვირვება არც ისე სანდოა.

დააკვირდი კოცონს და კვამლს

თუ ქალაქგარეთ ხარ და სახლში გვიან აპირებ დაბრუნებას, შეგიძლია მოსალოდნელი ამინდი კოცონის დახმარებით შეიტყო. როცა კარგი ამინდია მოსალოდნელი, ნაკვერჩხლები კოცონში იოლად ნაცრდება.



თუ კვამლი მაღლა ვერტიკალურად ადის, ესეც დარის მომასწავებელია. ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ უქარო ამინდია, კვამლი მაინც მიწაზეა გართხმული. ეს მოსალოდნელ ავდარზე მიგვანიშნებს. თუ ზამთარში კვამლი სვეტივით ადის მაღლა, ყინვებს დაიჭერს.

დააკვირდი მცენარეებს

მცენარის ფოთლებზე დააკვირვებით შეგვიძლია გამოვიცნოთ, როგორი ქარი უბერავს. თუ ფართოფოთლოვანმა ხეების ფოთლებმა ქვედა მხარე ამოაბრუნეს, ეს ნიშნავს, რომ ამ ადგილისთვის უჩვეულო ქარია მოვარდნილი. ჩვეული ქარების დროს კი ფოთლები ბუნებრივ მდგომარეობას ინარჩუნებენ.

ზოგჯერ გრძელვადიანი ამინდის გამოცნობა მცენარის ნაყოფის რაოდენობითაც შეიძლება. მაგალითად, ამბობენ, რომ თუ ცირცელს და ნაბლს ნაყოფი უხვად აქვს, იმ წელს ხანგრძლივი და ხშირნალექიანი ზამთარი იქნება.



დააკვირდი სუნს

თუ კარგი ყნოსვა გაქვს, მოსალოდნელი ამინდის გამოცნობას ადვილად შეძლებ. ღრმად შეისუნთქე ჰაერი, დახუჭე თვალები და სცადე სუნის შეგრძნება. ქარიშხლის წინ, დაბალი წნევის გამო, ჭაობები ჰაერში სხვადასხვა აირს უშვებენ, რაც უსიამოვნო სუნის გავრცელებას იწვევს.

ამბობენ, რომ ყვავილები საუკეთესო სურნელს წვიმის წინ აფრქევენ. სურნელი ტენიან ჰაერში უფრო მძაფრია, რაც, თავის მხრივ, წვიმიან ამინდს უკავშირდება.



შეამონმე ტენიანობა

ბევრი ადამიანი ტენიანობის მომატებას შეიგრძნობს საკუთარი თმის მდგომარეობის მიხედვით. ამ დროს თმა იხვევა და მაღლა იპრიხება.

დააკვირდი მწერებს

მწერებზე დაკვირვებით ამინდის გამოცნობა ძალიან ადვილია. ისინი ხომ ყველგან არიან!

კარგი ამინდის წინ პატარა მწერები გუნდებად მოძრაობენ. ჭრიჭინები სალამოს ხმამაღლა ჭრიჭინებენ, ხოჭოები გვიანობამდე დაფრინავენ, ჭიანჭველები არ ხურავენ ბუდის ჩასასვლელს და სარჩოს აშრობენ. ციცინათელები კი კამკაშა სინათლეს გამოსცემენ.



თუ ფუტკრები დილით მინდორში არ მიფრინავენ, სკაში რჩებიან და ბზუიან, წვიმაა მოსალოდნელი. ამ დროს ხოჭოები ნაგავში იქეჩებიან. ყვითელი აკაციის გარშემო ბევრი მწერი დაწრიალებს? ესე იგი უამინდობას უნდა ელოდო. ინვიმებს მაშინაც, თუ ბუზი მწარედ იკბინება. ჭიანჭველები კი უშუალოდ წვიმის დაწყებამდე მაღალ წანვეტებულ გორას აშენებენ.

დააკვირდი ცხოველებს და ფრინველებს

ყურადღებით დააკვირდი ფრინველებს. განსაკუთრებით გავრცელებულია ამინდის გამოცნობა მერცხლების ქცევის მიხედვით. თუ ისინი ცაში მაღლა დაფრინავენ, კარგი ამინდი იქნება. თუ შაში მზის ჩასვლის შემდეგ გვიან ღამემდე



გალობს, ამ შემთხვევაშიც კარგ ამინდებს დაიჭერს. მტრედები თუ ლულუნებენ, ესეც დარის მანიშნებელია.

უშუალოდ წვიმის დაწყების წინ პატარა ჩიტები სწრაფად გაყურდებიან ხოლმე. ხშირად ისინი თავს იყრიან დიდი ხეების ცენტრალურ მსხვილ ღეროებთან. თოლიები ფრენას წყვეტენ და ნაპირზე რჩებიან ქარიშხლის მოახლოების დროს. მერცხლები დაბლა დაფრინავენ. ბელურები ავდრის წინ ხშირად მტვერში „ბანაობენ“, ყვავები კი გამუდმებით ჩხავიან. თუმცა, თუ ხანგრძლივი უამინდობისას ბელურები აჭიკჭიკდნენ, შეიძლება უახლოეს მომავალში გამოიდაროს.

თუ სათევზაოდ მოგიწია წასვლა და ვერაფერი დაიჭირე, ეს შეიძლება მოსალოდნელი წვიმის ბრალი იყოს. ცნობილია, რომ წვიმის წინ თევზები ანკესს არ ეკარებიან. უამინდობის წინ ზოგჯერ ისინი წყლიდან ხტებიან და მუმლს იჭერენ. კალმახი მთის მდინარეებში ბინადრობს და მისი ნახვა, ალბათ, იშვიათად მოგიწევს, მაგრამ მაინც გახსოვდეს: თუ კალმახი წყალში კარგადაა გამოსული, მზიანი ამინდი იქნება.

შინაური ცხოველები-
დან ამინდის გამოსაცნო-
ბად დააკვირდი ძროხების
ქცევას. ქარიშხლის წინ,
როგორც წესი, ისინი ერ-
თად გროვდებიან და წვები-
ან. ხოლო თუ საღამოს ხარ-
ბად ძოვენ, მეორე დღეს განვიმდება.




მოსალოდნელი ამინდის გამოცნობაში ძალლიც დაგეხ-
მარება. თუ მოკუნტული წევს, აცივდება. ხოლო თუ გაჭი-
მულია, ფეხები გაუშლია, აუცილებლად დათბება.

ამინდის პროგნოზირება ქვეწარმავლების დახმარე-
ბითაც შეგიძლია. თუ გვიან შემოდგომაზე ახალგამოჩე-
კილ ხვლიკებს შეამჩნევ, ესე იგი, გვიან დაზამთრდება.

სეირნობისას კუ ხომ არ შენიშნე სადმე? ამბობენ, რომ
კუები ხმელეთის შემალღებულ ადგილებს ეძებენ ძლიერი
წვიმების წინ. შეიძლება გზებთან ახლოსაც ნახო წვიმამ-
დე ერთი ან ორი დღით ადრე.

ამ წიგნში ბუნებაზე დაკვირვებით ამინდის გამოცნო-
ბის საშუალებათა მხოლოდ მცირე ნაწილია ჩამოთვლილი.
კიდევ უამრავი ასეთი ხერხი არსებობს. მთავარია, დაკ-
ვირვების უნარი გამოიმუშაო. თავად ჩამოაყალიბე და
შეამოწმე შენი **ჰიპოთეზები**. სწორედ ასე იქცეოდნენ ადა-
მიანები საუკუნეების განმავლობაში. თუ შენც მოსინჯავ,
შეიძლება მიაგნო ისეთ ხერხსაც, რომელსაც ამ წიგნში
არც შევხებივართ. ყურადღებით დააკვირდი შენს საცხ-

ჰიპოთეზა – რაიმე მოვლენის ასახსნელად გამოთქმული
ვარაუდი.



ოვრებელ გარემოს, მის ფლორას და ფაუნას. შეამჩნიე ისეთი კანონზომიერებები, რომლებიც ამინდთან დაკავშირებულ მოვლენებს უკეთ გაგაცნობიერებინებს.

დაიმახსოვრე, პროგნოზირებისას არასოდეს დაეყრდნო მხოლოდ ერთ რომელიმე ნიშანს. რაც მეტი ნიშანი მიუთითებს ამინდის ცვლილებაზე, მით უფრო მაღალია პროგნოზის საიმედოობა. აითვისე ამინდის პროგნოზირების საკვანძო პრინციპები. დაიხმარე ქვემოთ მოცემული ცხრილი, შეაგროვე მონაცემები, დააკვირდი მათ, გააანალიზე და დაწერე, როგორი ამინდია მოსალოდნელი. მერე კი დააკვირდი, რამდენად ზუსტად შეძლევ პროგნოზირებას. გაარკვიე, როგორი სინოპტიკოსი ხარ.



ამინდის პროგნოზირების ცხრილი

დააკვირდი მოვლენებს შენ გარშემო და ჩანერე უფრებში პლუსები. როგორც ხედავ, ცხრილში ზოგი უფრა ცარიელია. ისინი შენ შეგიძლია შეავსო საკუთარი დაკვირვების შედეგებით.

მოსალოდნელი ამინდი			
	დარი	ავდარი	ქარი
მეტეოპათიები	ადამიანები თავს ენერგიულად გრძნობენ.	ადამიანები თავის ტკივილს უჩივიან.	ადამიანებს სახსრები სტკივათ და მოძრაობა უჭირთ
ცის შეფერილობა	საღამოს დასავლეთით წითელი ან გარდისფერია.	აღმოსავლეთით დილას წითლდება.	მზის დასავლთან წითელი ზოლი შეიმჩნევა.
ღრუბლები	მაღლა თეთრი ფერისაა	დაბლა მუქი ფერისაა.	ცაზე არიან განელილი.
მთვარე	მოთეთრო ფერისაა და მკვეთრად ანათებს.	მეწამული ელფერი დაჰკრავს; გარშემო შარავანდები აქვს.	
ვარსკვლავები	ცა მოჭედილია.	არ ჩანს, ღრუბლები ფარავს.	ციმციმებენ.
ჰაერი	მშრალია.	ყვავილების სურნელი მძაფრად იგრძნობა.	უსიამოვნო სუნი აქვს.
კოცონი, კვამლი	ნაკვერჩხლები ადვილად იფარება ნაცრით; კვამლი კერტიკალურად ადის ცაში.	კვამლი მაღლა არ ადის, მიწაზეა გართხმული.	
ხმელეთის ცხოველები	ძაღვები გაშლილი ფეხებით წევიან.	კუ შემაღლებულ ადგილებს არჩევენ; საქონელი საღამოს ხარბად ძოვს; ძაღვები მოკუნტულები წევიან.	

სვფზღვ ჟსდჟნჟსჟნჟნ

სფიზიკი ფსიქოლოგიკი				
თემატიკა	კალმახები სამალავეებიდან გამოდიან.	ნაწილიდან ხტებიან და მწერებს იჭერენ; ანკესს არ ეკარებიან.		
ფრინველები	მერცხლები მალა დაფრინავენ; შაშვები გვიანობამდე გალობენ.	არ გალობენ, ჭყვიან; მერცხლები დაბლა დაფრინავენ, ყვავები ჩხავიან.		თოლიები ნაპირზე გამოდიან; პატარა ჩიტები დიდ ხეებს აფარებენ თავს.
მწერები	ფუტკრები სკიდან გამოდიან; ხოჭოები საღამოს დაფრინავენ; ჭიანჭველები ბუდეებს ღიად ტოვებენ.	ფუტკრები სკაში რჩებიან; ხოჭოები ნაგავში იქნებიან.		
მცენარეები	დილას ბალახზე ბეჭერი ნამია.	ნამი არ არის.		ნამი არ არის.
„+“-ის საერთო რაოდენობა				
მოსალოდნელი ამინდის პროგნოზი შენი გამოთვლით				

[illegible]